

ნინო ფირცხალავა

ნინო ფირცხალავა დაიბადა 1958 წლის 1 იანვარს. 1976-1980 წლებში სწავლობდა იენის ფრიდრიხ შილერის სახ. უნივერსიტეტში. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ანტიკურობის რეცეფციის პრობლემა თანამედროვე ევროპულ დრამატურგიაში". 1994 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "სამყაროსა და კულტურის მოდელი თომას მანის შემოქმედებაში მისი კულტურფილოსოფიური იდეების შუქზე". 1986დან-2006 წლამდე იყო თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის პროფესორი. 1994-1998 წლებში იყო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ავსტრიის საელჩოს კულტურის ინსტიტუტის გერმანულენოვანი ლიტერატურის პედაგოგი. 1996-1998 წლებში იყო თეირანის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორანტთა ჯგუფის სამეცნიერო ხელმძღვანელი. 2005-2006 წლებში ასრულებდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას. 2006-2010 წლებში იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 2010 წლიდან დღემდე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.